

მაია კიკვაძე /ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტი/

## სირთულეები ქართულის არმცოდნეთათვის ერგატიული კონსტრუქციის სწავლებისას

### ანოტაცია

ქართულის არმცოდნეთათვის ქვემდებარესა და შემას-მენელს შორის სინტაქსური ურთიერთობის გაგებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით სირთულეს ქმნის ერგატიული კონსტრუქციის სწავლება.

სხვა ენებში გარდამავალი ზმნის სუბიექტი-ქვემდებარე სახე-ლობითში დგას ყველა დროში, განსხვავებით ქართულისაგან, სადაც ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: სახელობითი, მოთ-ხრობითი და მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია.

**საკვანძო სიტყვები: პირიანობა, გარდამავლობა, ქვემდებარე, ბრუნვები, კონსტრუქციები.**

ბილინგვიზმი სულ უფრო და უფრო აქტიურად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში. “ბილინგვიზმის ცნების ფართო განსაზღვრაში იგულისხმება ურთიერთობისთვის ორი ენის გამოყენების უნარი. ამ თვალსაზრისით, ბილინგვიზმი გვევლინება მეორე ენის სწავლების შედეგის სახით...” (ნ. იმედაძე, მ. ჯაფარიძე, 2011:71);

ზმნის გარდამავლობის შესწავლა ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს ქართულის არმცოდნეთათვის. მისი გაგება კი მათ ეხმარება, ჩასწვდნენ ქართული ენის ერთ საინტერესო თავისებურებას-ერგატიული კონსტრუქციის რაობას;

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა სათანადო ენათა გარდამავალი ზმნის თავისებურების პრობლემაა.

„ზმნასა და აქტანტებს შორის გარკვეული სინტაქსური კავშირია. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, ხოლო სახელი მართავს ზმნას პირში. ამრიგად, იქმნება მორფო- სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც წარმოადგენს ქართული ენის საფუძველს“ (ნიკოლაიშვილი, 2011:95). ზმნასთან შეწყობილი აქტანტები ქმნიან სინტაქსურ კონსტრუქციებს.

ქართული ენა სტრუქტურულად რთულია. ამას ნათლად ვგრძნობთ, როცა არაქართულ აუდიტორიასთან გვაქვს საქმე. ბილინგვური სწავლების დროს წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია ორი ენის (მშობლიური და მეორე ენის) სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. საკითხს შედარებით მარტივად ვწყვეტთ, როცა ორი ენის მსგავს კატეგორიებზე თუ ენობრივ მოვლენებზე გვიწევს საუბარი. სირთულეს კი ვაწყდებით მაშინ, როცა არაქართველს მისი ენისგან

განსხვავებულ წესებს ვუხსნით, ერთ-ერთი ასეთი სწორედ ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლაა.

ქართულის არმცოდნეებთან შეხვედრის პირველივე დღიდან ჩვენ ვცდილობთ მათ გავაგებინოთ მოსალოდნელი სირთულეები. ვეუბნებით, რომ ქართულში წინადადება ფაქტობრივად ზმნაზეა აგებული. “ზმნის სირთულე განაპირობებს ენის სწავლებაში სირთულეს“ (ბეპიევი, 2011:42). ზმნაზე არანაკლებ რთულია ქართულში სახელები, რომლებითაც აქტანტებია გადმოცემული. გასათვალისწინებელია ქართული გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვის საკითხი. იმ ენებში, რომელთა მფლობელებთანაც ჩვენ გვიწევს ურთიერთობა (თურქული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული), გარდამავალი ზმნის სუბიექტი-ქვემდებარე სახელობითი დგას ყველა დროში, განსხვავებით ქართულისაგან, სადაც ქვემდებარე ბრუნვაცვალებადა: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია.

წინადადება არის სახელისა და ზმნის ურთიერთობაზე აგებული შესიტყვება. ეს ორი მეტყველების ნაწილი უმთავრესია წინადადების აგებისათვის,

უცხოელბთან ქართულის სწავლებისას ქვემდებარესა და შემასმენელს შორის სინტაქსური ურთიერთობის გაგება ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენს წინადადებაში შემასმენელი თუ გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული, იგი გაბატონებულ პოზიციაშია და მართავს ქვემდებარეს, მათ შორის გვაქვს საურთიერთო მართვა.

სწორი, გამართული ფრაზის კონსტრუქცია დამოკიდებულია ზმნა-შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული აქტანტების ბრუნვათა ფორმებზე. ქართულში ბრუნვებს სინტაქსური ფუნქციები გააჩნიათ. სწორედ ბრუნვებით იქმნება სინტაქსური კონსტრუქციები. განსაკუთრებით გამოყოფთ სამ ბრუნვას: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს. ესენი ქვემდებარის ბრუნვებია. სახელობითი და მიცემითი არაქართველისთვის ადვილად გასაგებია, მათთვის სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის. შესაბამისად, გარდამავალი ზმნის სამი კონსტრუქციიდან - ნომინატიური, ერგატიული და დატიური, პრობლემას ერგატიულ კონსტრუქციასთან ვაწყდებით. როგორ გავაგებინოთ სხვა ენის მომხმარებელს, ქართული ენის შემსწავლელს, თუ როდისაა საჭირო სახელობითი, როდის მოთხრობითი და როდის მიცემითი ბრუნვის ფორმები? არადა, ამის გარეშე სწორი მეტყველება პრაქტიკულად შეუძლებელია. ვფიქრობთ, გამოსავალია ზმნის დროის კატეგორიის გამოყენება. ამასთან, კითხვის დასმის მეთოდიც გვეხმარება, ქართულის არმცოდნეებს გავაგებინოთ ქვემდებარის სინტაქსური კონსტრუქციები და განსაკუთრებით ერგატიული კონსტრუქცია.

ბილინგვურ სწავლებაში თეორიულ ცოდნაზე არანაკლები მნიშვნელობა პრაქტიკულ კომუნიკაციას ენიჭება. არაქართველი

აბიტურიენტები თუ სტუდენტები ეტაპობრივად, ნელ-ნელა, სწორედ პრაქტიკული კომუნიკაციის პირობებში ახერხებენ ბრუნვათა სწორი ფორმების, სათანადო სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბილინგვურ სწავლებაში მნიშვნელოვანია ქართულის არმცოდნეებს მშობლიურ ან შუამავალ ენაზე ავუხსნათ ქართული ენის გრამატიკის ძირითადი საკითხები. ჩვენს შემთხვევაში სომხურენოვანთათვის ასეთია რუსული, აზერბაიჯანულენოვანთათვის კი რუსული ან თურქული.

ქართული ენის სწავლების მოსამზადებელ საფეხურზე, დაახლოებით 8 თვის განმავლობაში, არაქართველ აბიტურიენტებს თუ სტუდენტებს ჩვენ კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს ვუყალიბებთ, ვასწავლით ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკას იმ დოზით, რომ მათ შეძლონ ტექსტის გაგება, ნათქვამის გააზრება, კომუნიკაცია. ეს ეხება არა მხოლოდ ლექსიკური მარაგის შეგროვებას, არამედ მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების აგებას. რაც მთავარია, ისინი შეძლებისდაგვარად მზად უნდა იყვნენ სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. ამის მიღწევა კი შესაძლებელია პრაქტიკულ-კომუნიკაციური და აქტიური მეთოდების გამოყენებით.

ზმნის კატეგორიებიდან რამდენიმეს გამოვყოფთ, რომელთაც მეორე ენის, ქართულის, სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ესაა პირი, დრო, კილო, ასპექტი. ქართველურ ენებში ერგატიულობა სწორედ დრო-კილო-ასპექტის კატეგორიაზეა დამოკიდებული.

ტერმინი „ერგატივი“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოთხრობითის აღსანიშნავად ავსტრიელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარდტმა გამოიყენა.

ცნობილია, რომ ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან: წყვეტილსა და მეორე კავშირებითში: **ბავშვ-მა** სურათი დახატა (წარსული დრო); **ბავშვ-მა** სურათი დახატოს! (კავშირებითი, კილო); ამგვარი კონსტრუქცია გვაქვს იმ ზმნებთან, რომელთაც დაკარგული აქვთ პირდაპირი ობიექტი:

**ბავშვ-მა** შეხედა დედას; **მამა-მ** ახედა შვილს (დრო წარსულია).

ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს „იცის“ და „უწყის“ ზმნებთან პირველ სერიაში, ახლანდელ დროში და არა წარსულში (ამ ზმნებს კონსტრუქცია მეორე სერიისა აქვთ): **დედა-მ** კარგი კეთება იცის. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ქვემდებარე აღინიშნება „მან“ ნაცვალსახელით. ე.ი. ქართულში მოთხრობითი ბრუნვა გარდამავალი და ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის მესამე პირის სუბიექტს მხოლოდ აორისტში გააჩნია (გამონაკლისია აწმყოში «მან იცის» ფორმა).

რიგ გარდაუვალ ზმნებში, რომელთა სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია. ასეთია საშუალი გვარის ზმნები. ქართველისთვის შედარებით ადვილია გამიჯნოს მედიოაქტივის და მედიოპასივის ფორმები, ანუ გაითვალისწინოს ნასესხები ფორმის სინტაქსური ძალა. არაქართველისთვის ეს საკმაოდ რთული ასახსნელი და გასაგებია. მედიოაქტივებთან ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია, მეორე სერიაში მოთხრობით ბრუნვაშია: ბავშვ-მა იტირა; წყალ-მა იღულა (წარსული დრო); ბავშვ-მა იტიროს); წყალ-მა იღულოს (კავშირებითი); **კაც-მა** იცხოვრა, **ქალ-მა** იტირა... მედიოპასივებთან კი ბრუნვაუცვლელია, სამივე სერიაში სახელობითშია. ამ დროს ქართულის არმცოდნემ ყურადღება უნდა გაამახვილოს, რამდენად აქტიურია ქვემდებარე (წყალ-ი ღულს, წყალ-მა იღულა, წყალ-ს უღულია);

ქართულში გარდამავალი ზმნა- შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში, კერძოდ, პირველ სერიაში, აწმყოსა და მყოფადის წრეებში, ქვემდებარე სახელობითშია, ე.ი. ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს: **ბავშვ-ი** თამაშობს; **ბავშვ-ი** ითამაშებს. ამ დროს ქვემდებარე გადმოცემულია „ის“ ნაცვალსახელით;

მეორე სერიაში, წყვეტილსა და მეორე კავშირებითში- ერგატიული კონსტრუქციაა: **ბავშვ-მა** ითამაშა; **ბავშვ-მა** ითამაშოს! ამ დროს ქვემდებარე გადმოცემულია „მან“ ნაცვალსახელით; მესამე სერიაში კი-დატიური კონსტრუქციაა: **ბავშვ-ს** უთამაშია, ეთამაშა, ეთამაშოს- ქვემდებარე გადმოცემულია „მას“ ნაცვალსახელით.

„ქართულში ქვემდებარე კოორდინატია იმდენად, რამდენადაც ზმნისაგან იმართება ბრუნვაში, თავად კი მართავს შემასმენელს პირშიგვ. ევროპულ ენებში, თურქულში და ბევრ სხვა ენაში ქვემდებარე არ არის კოორდინატორი. იგი მხოლოდ მართავს შემასმენელს პირში, მაგრამ არ იმართვის მისგან ბრუნვაში“ (ფეიქრიშვილი, 1998); ქვემდებარის ბრუნვაცვალებადობა ჩვენი ენის სპეციფიკურობაა.


**კონსტრუქციების შესწავლა დროის კატეგორიის გამოყენებით:**


**1. ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, ნომინატიური კონსტრუქცია**

- ახლანდელი (აწმყო) - რას აკეთებს?
- წარსული (დაუსრულებელი) - რას აკეთებდა?
- მომავალი - რას გააკეთებს?

**მოდელი: მოდელი ორპირიან ზმნათათვის: შ-ი (Ø) + O-ს + ზმნა**

ახლანდელი (აწმყო) ბიჭ-ი სურათს ხატავს 

ახლოწარსული(უწყვეტ.) ბიჭ-ი სურათს ხატავდა **ის(S)** 

მომავალი - ბიჭ-ი სურათს დახატავს 

**მოდელი სამპირიან ზმნათათვის: S-ი(Ø) + O-ს+ O-ს+ ზმნა**

ახლანდელი (აწმყო)

დედა  $\emptyset$  ნინოს ტორტს უცნობს  
ახლო წარსული(უწყვეტ.)

დედა  $\emptyset$  ნინოს ტორტს უცნობდა  
მომავალი

ის (S)

დედა  $\emptyset$  ნინოს ტორტს გამოუცნობს

**2. ქვემდემარე მოთხრობით ბრუნვაშია, ერგატიული კონსტრუქცია**

წარსული (წყვეტილი) -რა ქნა?

ახლანდელი, მომავალი (II კავშ.) - რა ქნას?

მოდელი: ორპირიან ზმნათათვის: S-მა/მ +O-ი( $\emptyset$ ) + ზმნა;

სტუდენტ-მა დავალება დაწერა

ნინო-მ წიგნი წაიკითხა

დაწეროს! მან (S)

სტუდენტ-მა დავალება

ნინო-მ წიგნი წაიკითხოს!

მოდელი: სამპირიან ზმნათათვის: S-მა/მ + O-ს+ O-ი( $\emptyset$ ) + ზმნა.

დედა -მ ელენე-ს კაბა შეუკერა

დავით-მა ბებიას გაზეთ-ი წაუკითხა

მან (S)

დედა -მ ელენე-ს კაბა შეუკეროს

დავით-მა ბებიას გაზეთ-ი წაუკითხოს!

**3. ქვემდემარე მიცემით ბრუნვაშია, დატიური კონსტრუქცია**

წარსული (პირველი-მეორე თურმ.) - რა უქნა? რა ექნა?

მომავალი (III კავშ.) -რა ექნას?

სტუდენტ-ს დავალება დაუწერია ; მას (S)

ნანა-ს დედის-თვის საჩუქარი უყიდა;

სტუდენტ-ს დავალება დაეწერა ; ნანა-ს დედის-თვის საჩუქარი ეყიდა;

სტუდენტ-ს დავალება დაეწეროს ; ნანა-ს დედის-თვის საჩუქარი ეყიდოს!

**ბრუნვაცვალებადი კონსტრუქცია ახასიათებს ერთპირიან აქტიურ ფორმებს (ტირის, ტრიალებს, ცხოვრობს...):**

**1. ნომინატიური კონსტრუქცია**

ახლანდელი, წარსული(დაუსრულებელი), მომავალი ის(S)

ბავშვ-ი ტირის; ბავშვ-ი ტიროდა; ბავშვ-ი იტირებს

**2. ერგატიული კონსტრუქცია**

წარსული (წყვეტილი), ახლანდ.მომავალი(IIკავშ.) მან (S)

ბავშვ-მა იტირა, ბავშვ-მა იტიროს...

**3. დატიური კონსტრუქცია**

წარსული (პირველი-მეორე თურმ.) ,მომავალი (III კავშ.) მას (S)

ბავშვ-ს უტირია; ბავშვ-ს ეტირა; ბავშვ-ს ეტიროს

ამრიგად, სინტაქსური კონსტრუქციების გაგება ზოგადად, და განსაკუთრებით ერგატიულისა, ქართულის არმცოდნეთათვის

უფრო ადვილია კითხვის დასმის მეთოდითა და დროის კატეგორიის გამოყენებით. ძირითადად ზმნის დროის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ქვემდებარის ბრუნვა.

### დამოწმებული ლიტერატურა:

**ნ. ბეპიევი 2011-** ნ. ბეპიევი, შედარებითი გრამატიკის სწავლება სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2011

**ნ. იმედაძე, მ. ჯაფარიძე 2011** -ნ. იმედაძე, მ. ჯაფარიძე, ბილინგვიზმის მოდელი ქართულის, როგორც მეორე ენის, დაუფლების პროცესში, სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2011

**ლ. კვაჭაძე 1988** - ლ. კვაჭაძე ქართული ენის სინტაქსი, თბ.1988

**მ. ნიკოლაიშვილი 2011-** მ. ნიკოლაიშვილი, ზმნის ძირითადი კონსტრუქციები ქართულში, სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2011

**ჟ. ფეიქრიშვილი 1998-** ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, 1998

**ა. შანიძე 1980.**- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

**არნ. ჩიქობავა 1950-** არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950

**არნ. ჩიქობავა 1939** - არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1939.

**Maia Kikvadze /Batumi Shota Rustaveli State University/**

**Difficulties while teaching ergative constructions to foreigners**

**Resume**

Studying transitive verbs help foreigners to go deeper in the essence of ergative constructions – one of the peculiarities of Georgian language. Ergativity is closely connected to transitivity. Studying Georgian verbs is too hard for the foreigner as it has many persons. Verbs with actants create syntactic constructions.

Bilingual teaching is impossible without taking into consideration structural and language peculiarities of both: native language and second language. Teaching becomes easier than the same constructions exist in both languages. Difficulties arise only then when the teachers have to explain the grammar rules connected with syntactic constructions.

In Georgian subject with transitive verb is case - changeable. It has three cases: nominative, ergative and dative. In Georgian cases have syntactic structures. Studying nominative and dative case is easy for foreigners, but it is no longer easy with ergative case. Accordingly, from three constructions that transitive verbs possess (nominative, ergative, dative), problematic is teaching ergative constructions. The usage of verb categories and the method of asking questions will be a great help for foreigners who wish to study Georgian syntactic constructions.